ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წ ყ ა ლ ტ უ ბ ო
**მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის**
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 36 54

15/07/2020

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის ზურაბ მაისურაძის 2020 წლის 15 ივლისის N/31/3015 წერილი, რომლითაც მერი შემოდის წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 26–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020 წლის 17 ივლისს, 12:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/მომხს. რომეო ნიჟარაძე/

2) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/მომხს. მურმან შალამბერიძე/

3) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №36 7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/ მომხს. მურმან შალამბერიძე/

4) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის N36 8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/მომხს. მურმან შალამბერიძე/

5) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N39ა-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.37.069) პირველ სართულის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/მომხს. მურმან შალამბერიძე/

6) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.11.36.301 საკადასტრო კოდზე განთავსებული შენობის 4 (ოთხი) ოთახის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/მომხს. მურმან შალამბერიძე/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გამოქვეყნება;

ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 11:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს კობა გურეშიძეს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაია

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

# საქართველო
## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
## CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 ☎ ( +995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: tskaltubo1@gmail.com
Rustaveli STR 25. Tskaltubo, Georgia ☎ ( +995) 595 95 90 72 E-mail: tskaltubo1@gmail.com


N 31/3015
15/07/2020

3015-31-2-202007151442

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.გ.'' ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებით, შემდეგი საკითხების განხილვის მიზნით:

1.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის N36 7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N 31/2549);

2. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის N36 8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ(N 31/2549);

3. ა(ა)იპ ,,წყალტუბოსმუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის'' სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N39ა-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.08.37.069) პირველი სართულის გადაცემაზე თანხმობის მიღების თაობაზე (N 31/2962);

4. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის No23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების განხილვისა და მოწონების თაობზე;

5. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის თაობაზე, თანხმობის მიღების შესახებ (N 31/2970);

6. ექიმების ამირან ნიქაბაძის, გულიკო მამაგეიშვილისა და ნატალია ვოლკოვასათვის სამედიცინო საქმიანობის განხორციელების მიზნით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით, წყალტუბოს


წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
სავალდებულო
265/36
"15" 07 2020

მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.11.36.301 საკადასტრო კოდზე განთავსებული შენობის 4 (ოთხი) ოთახის გადაცემის თაობაზე, თანხმობის მიღების შესახებ (N 31/2966).

პატივისცემით,

ზურაბ მაისურაძე

მუნიციპალიტეტის მერი - ~~მ.შ.~~